პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 9 აპრილი, 1943 წ. № 81 (6706). ფასი 20 კაპ.

შური ვიძიოთ ფაშისტ ჯალათებზე!

გულისტკივილისა და უდიდესი გულისწყრომის გრძნობით წაიკითხავენ საბჭოთა ადამიანები საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობას იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩაიდინეს სმოლენსკის ოლქის ქალაქებში ვიაზმაში, გჟატსკსა და სიჩოვკაში და კალინინის ოლქის ქალაქ რჟევში. ეს დოკუმენტი, რომელშიც სამართლია ყოველი სიტყვა, ყოველი ციფრი, მთელი მსოფლიოს წინაშე გადაშლის ჰიტლერელ ყაჩაღთა დანაშაულებრივ პრაქტიკას მათ მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებში, გამოავლენს მტრის საზიზღარ სახეს.

„ისტორიამ ჯერ არ იცის ადამიანთა ისეთი მასობრივი ჟლეტა, როგორსაც სჩადიან გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი,—ამბობს თავის ცნობაში საგანგებო სახელმწიფო კომისია.—სიბრალულისა და ლმობიერების გრძნობა მათთვის უცნობია. ისინი საშინელი სიმკაცრით აბუჩად იგდებენ უმწეო მოხუცთ. მათ არ აჩერებს არც დედათა ცრემლი, არც დახმარების შესახებ ვედრებით გაწვდილი ბავშვთა ხელი. ჰიტლერის მიერ აღზრდილი გერმანელთა არმია აწამებს და ხოცავს ყველას, ვინც გერმანელებს არ ესაჭიროება, ხოლო ისინი, ვისაც შეუძლია მათთვის იმუშაოს, მათ მიჰყავთ, როგორც პირუტყვი, გერმანიაში, მონათა ბაზრებში“.

საგანგებო სახელმწიფო კომისია თავის ცნობაში ჩამოსთვლის გერმანელი ფაშისტი ჯალათების მიერ ოთხ საბჭოთა ქალაქში და მათს რაიონებში ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. ათასობით ადამიანმა ჰპოვა სიკვდილი წამების საკნებში და სახრჩობელებზე, ათასობით გარეკილია ფაშისტურ კატორღაში, დანგრეული და გაძარცულია მთელი ქალაქები და სოფლები. იმ რაიონებში, რომლებიც ჰიტლერელმა არამზადებმა მოიარეს, მათ „უდაბნოს ზონა“ დასტოვეს.

ის, რაც გერმანელმა არამზადებმა რჟევსა და სიჩოვკაში, გჟატსკსა და ვიაზმაში ჩაიდინეს,—ისეთი ძალადობისა და მაროდიორობის აქტი როდია, რაც ჩაიდინა ერთმა რომელიმე სამხედრო ნაწილმა, რომელსაც დაავიწყდა ომის წარმოების საერთაშორისო კონვენციები.

არა, რჟევსა და სიჩოვკაში ხორციელდებოდა კაცჭამია ფაშისტთა პროგრამა მთელი საბჭოთა ხალხის გაჟლეტისა, აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯისა და სისხლისმღვრელი ძალადობისა. გენერლები ჰაინრიცი, როპერტი, მერკერი, გარაისი, შომანი, ვაისი, რომელნიც თავიანთ საზიზღარ ლანდსკნეხტებს ბრძანებას აძლევდნენ დაეხვრიტათ მოხუცები და ბავშვები, შეელახათ ქალის ღირსება, ცოცხლივ დაეწვათ ტყვე წითელარმიელები, ცეცხლისათვის მიეცათ მშვიდობიან მოქალაქეთა ბინები, დაეტაცებინათ ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ღირებულებანი,—ისინი ყველანი ასრულებენ ფაშისტთა უმაღლესი ხელმძღვანელობის წინასწარ დასახულ გეგმას. ისინი არიან პრაქტიკული შემსრულებელნი კაცჭამიათა და ყაჩაღური „თეორიისა“, რომელსაც შეიცავს ჰიტლერელ მეთაურთა ნაწერები—ჰიტლერით დაწყებული როზენბერგამდე და გერინგით დაწყებული გებელსამდე.

ფაშისტური გერმანიის მესვეურებმა ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე ცინიკური გულახდილობით ჩამოაყალიბეს გერმანიის იმპერიალიზმისადმი ევროპის ხალხთა დამორჩილების თავიანთი პროგრამა, სხვათა დოვლათის ხელში ჩაგდებისა და დატაცების პროგრამა, კულტურისა და ცივილიზაციის მოსპობის პროგრამა.

ჰიტლერელებმა თავიანთ უფლებრივ ნორმად უკანონობა გამოაცხადეს. ჯალათის საზიზღარი ფუნქცია მათ პიროფესიად გაიხადეს. სისხლისმღვრელ ომს მათ ადამიანის ბუნების ნორმალური მდგომარეობა უწოდეს. მათ აშკარად უარჰყეს ისეთი გრძნობები, როგორიც არის სირცხვილი, ლმობიერება, გულმოწყალება, გულშემატკივრობა.

„ჰიტლერელმა არამზადებმა წესად შემოიღეს აწამონ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, ასობით ხოცონ ისინი, შიმშილით სიკვდილი არგუნონ ათასობით მათგანს. ისინი ძალადობას ხმარობენ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის, მამაკაცებისა და ქალების, ბავშვებისა და მოხუცების, ჩვენი ძმებისა და დების მიმართ და ხოცავენ მათ. მათ მიზნად დაისახეს მონად აქციონ ან გაჟლიტონ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, ყირიმის, კავკასიის მოსახლეობა. მხოლოდ საზიზღარ ადამიანებსა და არამზადებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ღირსებას და პირუტყვის მდგომარეობამდე დაცემულან, შეუძლიათ ნება მისცენ თავიანთ თავს ჩაიდინონ ასეთი უმსგავსოებანი უდანაშაულო, უიარაღო ადამიანთა მიმართ“ (ი. სტალინი).

ჰიტლერული პროგრამის განხორციელებას ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქალაქების—ვიაზმის, გჟატსკის, სიჩოვკისა და რჟევის მაგალითით, ასობით დაბა-სოფლის მაგალითით. უკან იხევენ რა წითელი არმიის დარტყმების გამო, ფაშისტი ბანდიტები მხეცური გაბოროტებით ანგრევენ ყველაფერს თავიანთ გზაზე. ისინი ეომებიან არა მარტო წითელ არმიას, არამედ მთელ ჩვენს ხალხს.

ჩვენს ხალხში მათ ეზიზღებათ ყველაფერი — მისი ადამიანური ღირსება, მისი თავისუფლებისმოყვარეობა, მისი ერთგულება სამშობლოსადმი, მისი კულტურა, მისი ისტორიული ძეგლები. თანაბარი გააფთრებით აფეთქებდნენ გერმანელები ვიაზმაში საბჭოს შენობებს და თეატრალურ დარბაზს, საავადმყოფოს და სამშობიაროს სახლს, თავლებად და საწყობებად ხდიდნენ ეკლესიებს გჟატსკში, სწვავდნენ სიჩოვკაში მუზეუმს, სადაც რუს მხატვართა ტილოები ინახებოდა, და პიონერთა სახლს. ჰიტლერელები ყველა საბჭოთა ადამიანს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, საშინლად აწამებდნენ შიმშილითა და სიცივით, მხეცურად სტანჯავდნენ და ხოცავდნენ.

ფაშისტი არამზადისათვის არ არსებობს აკრძალულისა და სამარცხვინოს ცნება. ჰიტლერელები აბუჩად იგდებენ რუსი ადამიანის სულს, ღირსებას. ამას წინათ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა, თუ ახლადმოვლენილი გერმანელი მემამულეები, რომელნიც რუსეთის მინდვრებში ნადირობდნენ, როგორ აიძულებდნენ რუს ბავშვებს, რომ ძაღლებს დამსგავსებოდნენ. გერმანელები ყოველგვარ აბუჩადამგდებ „წესებს“ ადგენდნენ და ხვრეტდნენ რუს ადამიანებს მათი დარღვევისათვის. ორფეხა პირუტყვთათვის, რომელთაც „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები დაირქვეს, საბჭოთა ადამიანები საქონელია, ფარაა, რომელსაც შეიძლება არ მოერიდო, ანგარიში არ გაუწიო, რომელთა მიმართ ყველაფერი ნებადართულია.

მტერი, რომელმაც თავს მოგვახვია ომი, სასტიკი, სისხლისსმელი და ულმობელია. მისი საქმიანობა დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებში გამოაშკარავებულია მთელი მსოფლიოს წინაშე. პროგრესული კაცობრიობა ხედავს, თუ რას წარმოადგენს ფაშისტური რეჟიმი. ცივილიზაციის ხსნისათვის, ხალხთა ხსნისათვის ჰიტლერული რეჟიმი მოსპობილ უნდა იქნას.

იგი მოსპობილ იქნება! ყველას, ვინაც დანაშაული მიუძღვის რჟევში, გჟატსკსა, ვიაზმაში, ხარკოვში, სმოლენსკსა და ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, სამაგიერო მიეზღვის. რუსი ადამიანები თავიანთი ბუნებით ლმობიერნი, კეთილნი, სულგრძელნი არიან. მაგრამ მით უფრო საშინელია მათი რისხვა, მათი ზიზღი სძაგელი გერმანელი დამპყრობლებისადმი.

ჩვენ არაფერს არ ვაპატიებთ საზიზღარ მტერს, არაფერი დაგვავიწყდება მისი. ჩვენ ვიცნობთ ამ უმსგავსოების ჩამდენთა სახელებს, „ახალი წესრიგის“ მშენებელთა სახელებს, ყველა ამ ახლადგამომცხვარ გენერალ-გუბერნატორების, ჩვეულებრივი გუბერნატორების, კომენდანტებისა და ქვეკომენდანტების სახელებს. მათი შავი სისხლით ანაზღაურებულ იქნება მათ მიერ ჩადენილი მხეცობა, ჩვენი ადამიანების აბუჩად აგდება.

შურისგებისაკენ, საბჭოთა მეომრებო! შურისგებისაკენ, საბჭოთა ადამიანებო! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

„პრავდის“ მოწინავე, 7/IV.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამკერდე ნიშან „წარჩინებული მეპოტენტონის“ დამტკიცების შესახებ

წითელ არმიის საპონტონო-სახიდო ნაწილების რიგითი და უმცროსი უფროსმოდგენლობის იმ პირთა წესახალისებლად, რომელთაც თავი გამოიჩინეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს წითელი არმიის საპონტონო-სახიდო ნაწილების რიგითი და უმცროსი უფროსმოდგენლობისათვის სამკერდე ნიშან „წარჩინებული მეპონტონის“ ნიმუში.

2. დამტკიცდეს დებულება სამკერდე ნიშან „წარჩინებული მეპონტონის“ შესახებ.

3. დაწესდეს ნიშნის ტარება მკერდის მარჯვენა მხარეზე.

4. მიეცეთ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების უფლება ცალკეული საპონტონო-სახიდო ნაწილების მეთაურებს, ბრიგადებისა და დივიზიების მეთაურებს, არმიების სარდლების მოადგილეებს, საინჟინრო ჯარების ხაზით და უფრო მაღალი თანამდებობის პირთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 5 აპრილი.

სსრ კავშირის სახალხოსაბჭოში

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ამხ. ვ. ა. სტეპანჩენოკის ოჯახისათვის ერთდროული დახმარების მიცემისა და პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. მიეცეს ერთდროული დახმარება პოლკოვნიკ ამხ. ვ. ა. სტეპანჩენოკის დედას და ცოლს—დედას პრასკოვია მიხეილის-ასულ სტეპანჩენოკს 10.000 მანეთი, ცოლს გალინა ივანეს-ასულ სტეპანჩენოკს—10.000 მანეთი.

2. დაენიშნოთ პერსონალური პენსია: დედას პრასკოვია მიხეილის-ასულ სტეპანჩენოკს—400 მანეთი თვიურად და ცოლს გალინა ივანეს-ასულ სტეპანჩენოკს 500 მანეთი თვიურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში, შვილებს—ვაჟს იგორს, ვაჟს ვალერის და ქალიშვილს სვეტლანას — 300 მანეთი თითეულს თვიურად სრულწლოვანობამდე.

3. ამხ. ვ. ა. სტეპანჩენოკის დაკრძალვა მიღებულ იქნას სახელმწიფოს ხარჯზე.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 7 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ს. ბუკიას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ბორის სამსონის-ძე ბუკია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 8 აპრილი. ქ. თბილისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 აპრილის ღილის ცნობა

6 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

იზიუმის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა ჰიტლერელთა იერიში მოიგერიეს. არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლეტილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაზიანებულია მოწინააღმდეგის ტანკი და ჯავშანმანქანა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის ავტოკოლონას. დამსხვრეულია გერმანელთა 10-მდე ავტომანქანა საომარ მასალიანად. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავთა ჯგუფებმა 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში 6 ნაწილის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის იერიში მოიგერიეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 80 გვამი. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა მთელი რიგი ძელმიწური საცეცხლე წერტილები მათი გარნიზონებიანად. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 4 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ერთი ჩვენი ნაწილის მზვერავები ღამით თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს, გაჟლიტეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი და ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი. მზვერავებმა ხელთ იგდეს მტრის ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი და თავიანთი ნაწილის განლაგებაში დაბრუნდნენ.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე, ერთ უბანზე, მოწინააღმდეგემ ორ ჯგუფად სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. გერმანელები უკუქცეულ იქნენ ყველა სახის იარაღის ცეცხლით, ამასთან დიდი ზარალი განიცადეს. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის სანაღმმტყორცნო ბატარეის და ორი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ლენინის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, ააფეთქა გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი. 29 მარტს ღამით ვინიცელ პარტიზანთა რაზმი შეიპარა რკინიგზის საკავშირო სადგურში და მოსპო გერმანელი მცველები. პარტიზანებმა ააფეთქეს 2 ორთქლმავალი და დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგები.

* * *

ყუბანში მოკლულ უცნობ გერმანელ ჯარისკაცს აღმოაჩნდა გილდა ბაუმგარტნერისადმი გასაგზავნი წერილი. ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილის თარგმანს: „...თითქმის სამი დღე-ღამე არ მიძინია. შემიძლია გითხრა, რომ ჩვენ, ფრონტზე, მეტად ცუდი განწყობილება გვაქვს. რუსები არავითარ მოსვენებას არ გვაძლევენ. ჩვენ დავთმეთ კავკასია, თუმცა იგი მეტისმეტად ბევრ მსხვერპლად დაგვიჯდა. ათიათასობით გერმანელმა ჯარისკაცმა შესწირა აქ თავისი სიცოცხლე და სულ უაზროდ. რუსები დაბრუნდნენ და ამ სატუცხო ადგილების ბატონ-პატრონი გახდნენ, რომლებიც უკვე ჩვენად მიგვაჩნდა. ვე უკვე ვამბობდი, როცა შინ ვიყავი, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიმორჩილებთ რუსებს. მე არ მეთანხმებოდნენ. ჩემი არა სჯეროდათ, ახლა კი ხომ ყოველი ჯარისკაცი ამბობს ამას...“

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ სმოლენსკის ოლქის სოფელ ბარანოვოში ჩადენილი მხეცობის შესახებ: „ოკუპაციის პირველსავე დღეებში გერმანელმა ბანდიტებმა გაძარცვეს სოფლის ყველა მცხოვრები. უკანდახევის წინ ჰიტლერელებმა პირწმინდად წაიღეს სურსათის უკანასკნელი ნაშთი, ნივთები და ყველაფერი, რაც შემთხვევით გადარჩა წინანდელი ძარცვის დროს. გერმანელებმა სიკვდილით დასჯის მუქარით ძალად გარეკეს გერმანულ კატორღაში 40 კაცი. გერმანელმა ჯალათებმა დახვრიტეს ევდოკია კოკინოვა. გრიგოლ კოტეკაროვი, პეტრე კუზნეცოვი, ივანე კუდრიავცევი. ალექსანდრე გავრიკოვი და სხვები იმისათვის, რომ მათ უარი სთქვეს ფაშისტურ მონობაში წასვლაზე. მტარვალებმა მოჰკლეს 17 წლის ქალიშვილი ლუბა ტროფიმოვა, რადგან მან წინააღმდეგობა გაუწია გერმანელ ოფიცერს, რომელიც მას გაუპატიურებას უპირებდა. ჰიტლერელებმა ქალიშვილთან ერთად მოჰკლეს თეკლე ტროფიმოვა, რომელიც თავის ქალიშვილს გამოესარჩლა. გერმანელთა თარეშის დროს ჩვენი სოფლის მცხოვრებთა რიცხვი ერთიორად შემცირდა. სოფელ ბარანოვოს მოქალაქეთა სახელით და დაიალებით ჩვენ მოვითხოვთ, რომ გერმანელი ბანდიტები და ყაჩაღები სასტიკად და დაუნდობლად დაისაჯონ მთელი მათი საზიზღარი და სძაგელი ბოროტმოქმედებებისათვის“. აქტს ხელს აწერენ სოფელ ბარანოვოს მცხოვრებნი — ა. პრონიკოვა. ლ. ოსტროვსკი და ი. ტროფიმოვი.

7 აპრილის საღამოს ცნობა

7 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

6 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 30 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აფეთქეს მოწინააღმდეგის საომარ მასალათა საწყობი, ჩაახშეს 10 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

იზიუმის რაიონში ჩვენი ნაწილები თავიანთ პოზიციებს ამაგრებდნენ. უკანასკნელ დღეებში მოწინააღმდეგემ ფრონტის ამ უბანზე უნაყოფო იერიშების დროს დიდი ზარალი ნახა და დღის განმავლობაში აქტივობა არ გამოუჩენია. 6 ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა მოსპეს მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 8 ავტომანქანა ტვირთიანად, ჩაახშეს სანაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და გაჰფანტეს გერმანელთა თავმოყრილი ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები დაკავებულ ზღუდეებს ამაგრებდნენ. არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით მოსპობილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დამტვრეულია მოწინააღმდეგის 4 ქვემეხი. ერთ უბანზე გერმანელ მეავტომატეთა ასეული ცდილობდა დაეზვერა ჩვენი თავდაცვის სისტემა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ჰიტლერელები უკუქცდებულ იქნენ პირვანდელ პოზიციებზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის რამდენიმე ათეული გვამი.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა განდევნეს მოწინააღმდეგე ორი დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდეს ტყვეები და დავლა. სხვა უბანზე გერმანელები ცდილობდნენ იერიში მიეტანათ ჩვენს პოზიციებზე. მაგრამ თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაფანტულ იქნენ. იმ ნაწილის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩინოვი, ცეცხლითვე თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა განლაგებაზე. დანგრეულია მოწინააღმდეგის რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტილი და მოსპობილია ერთი საწამლმტყორცნო ბატარეა.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენს საბრძოლო წყობებს უშენდნენ მოწინააღმდეგის ქვემეხები. რომლებიც ჩამალული იყვნენ ოლროჩორო ადგილებში. უმცროსმა სერჟანტმა ბელიხმა, წითელარმიელებმა ჯორელოვმა, ვდოვინმა, კარეტნიმა, ტროპინმა. სოლოშენკომ და ზუმლიანჩენკომ თან წაიღეს ტელეფონი, შეუმჩნეველად შეაღწიეს გერმანელთა ზურგში და აღმოაჩინეს მტრის ბატარეების ადგილსამყოფელი. მზვერავები გარს შემოერტყნენ იმ სახლს, სადაც გერმანელი არტილერისტები იმყოფებოდნენ, მოჰკლეს გუშაგი, შემდეგ შეიჭრნენ შენობაში და გაჟლიტეს 20 ჰიტლერელი. ტელეფონით გამოწვეულმა საბჭოთა ტანკებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 9 ქვემეხი.

* * *

ლენინგრადის ოლქის პარტიზანული რაზმების წარმატებითმა მოქმედებამ შეშფოთება გამოიწვია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შორის. გერმანელთა ჯარების ჩრდილო-აღმოსავლეთის დაჯგუფების ზურგის დამცველი ჯარების სარდალმა, გენერალ-მაიორმა შპეიმანმა პარტიზანთა წინააღმდეგ დიდი დამსჯელი ექსპედიცია გაჰგზავნა. 20 მარტს გერმანელთა ჯარებმა ფართო ოპერაციები დაიწყეს ლენინგრადელი პარტიზანების წინააღმდეგ. საბჭოთა პატრიოტები, თავს არიდებდნენ რა მოწინააღმდეგის რიცხვობრივად ჭარბ ძალებთან პირისპირ კვეთებას. განუწყვეტლივ ეხსმოდნენ თავს ჰიტლერელთა ზურგსა და ფლანგებს. რამდენიმე დღის ბრძოლებში, არასრული ცნობებით, პარტიზანებმა დახოცეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზწვეს და დაანიავეს მტრის 8 ტანკი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დაბა, მათ შორის ბევრი ტყვიამფრქვევი, შაშხანა და საომარი მასალა.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს სმოლენსკის ოლქის სოფელ პალკინოს მცხოვრებთა მიმართ. ჰიტლერელებმა 30 ქალი და ბავშვი შერეკეს 3 სახლში და ცოცხლივ დაწვეს ისინი. დაიწვნენ ალექსანდრა ფომინა და მისი 4 ქალიშვილი. 4-დან 9 წლამდე ასაკისა, ანასტასია ვასილიევა და მისი 2 ქალიშვილი. ეკატერინე ჯერტინა ძოძუთა ბავშვიანად და სხვები. გერმანელმა ბანდიტებმა სოფელში დაწვეს კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო რაიონი.

* * *

პარიზის რაიონში (საფრანგეთი) იმალება ბევრი გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც არმიიდან გამოიქცნენ, როგორც კი შეიტყეს, რომ მათს ნაწილებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰგზავნიან. „სს“-ელთა და ჟანდარმთა სპეციალური რაზმები დღედაღამ დასდევენ დეზერტირებს. მარტეს დამლევს პარიზში და მის მიდამოებში შეპყრობილია 300-მდე დეზერტირი. გენერალ ფონ რუნდშტედტის ბრძანებით დახვრეტილია 90 გერმანელი ჯარისკაცი. რომ[illegible] ნაწილებიდან გაიქცნენ.

ახალ ზღუდეზე

დასავლეთის ფრონტი, 8 აპრილი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ჯარები მიღწეულ ზღუდეებზე გამაგრდნენ და საბრძოლო დაზვერვას ეწეოდნენ—ასეთი ცნობები სჭარბობს ამ უკანასკნელ დღეებში დასავლეთის ფრონტიდან. მაგრამ ცნობის ძუნწ სიტყვებში დიდი საქმეები იმალება. აი, მაგალითად, როგორ გამოიყურება ამ დღეებში ფრონტის ერთი უბანი, სადაც გვარდიის 6 ნაწილი მოქმედებს.

ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ მისი ხმაური კიდევ არ შეწყვეტილა ბრძოლის ადგილს. სერჟანტი სინჯაკეს გერმანელთათვის წარმომეულ ტყვიამფრქვევს, იგი ხელს აკერს გაშეტს და მოტრასირე ტყვიების გრძელი ჯერი სერავს საღამოს ცას. სადღაც მოშორებით მესანგრეები ფეთქებენ გაყინულ გრუნტს და იქიდან აფეთქების ყრუ ხმა მოისმის. სხვადასხვა ადგილას გაისმის შაშხნის კანტი-კუნტი სროლა.

მტრისათვის წართმეულ სანგრებში მებრძოლნი მუშაობენ ნიჩბით, წერაქვით, ძალაყინით. ისინი სხვანაირად აწყობენ სანგრებს: ის მხარე, რომელიც მტერს უკანა მხარედ ჰქონდა, ახლა პირით უყურებს ფრონტს.

უკან ქვაბურებს აჩხარუნებენ. მოვიდა სალაშქრო სამზარეულო და ცხელი სადილი მოიტანა. სანგრებში მარტო მეთვალთვალენი რჩებიან.

ყველაფერი მიწყნარდა. მებრძოლთ ესმით, მათ წინ როგორ აჩიჩქნებიან გერმანელები სანგრებში: გაყინულ მიწას ურტყამენ ნიჩბებს, ყრუდ მოისმის გერმანულ ენაზე გაცემული კომანდის ნაწყვეტები.

დაღამდა. მეთაურმა გამოუძახა დაზვერვაზე წასვლის მსურველთ. მსურველი ბევრია. მზვერავი ჯგუფების მეთაურებმა—უფროსმა ლეიტენანტმა ალექსეევმა და სერჟანტმა საზონოვმა—ამოარჩიეს მებრძოლნი, რომელთა გამოცდილებაშიც ისინი დარწმუნდნენ ჯერ კიდევ წარსულში, როცა ერთად ლაშქრობდნენ „მოერეებზე“.

მზვერავები, რომელთაც ალექსეევი მეთაურობს, სიჩუმეს იცავდნენ, შეინიღბნენ. გახოხდნენ გერმანელ გუშაგთა ახლოს და სოფელს შემოუარეს. ბლინდაჟთან რომ მივიდნენ. მებრძოლები ჭოხის კუთხეს ამოეფარნენ და მოთმინებით დაიწყეს ლოდინი მალე ბლინდაჟიდან გერმანელი გამოძვრა. თავის წინ ავტომატების მოკლე ლულები რომ დაინახა, ჯარისკაცმა ხელები მაღლა აპწია. ერთი საათის შემდეგ იგი უკვე ჩვენი მეთაურის წინ იდგა.

სერჟანტ საზონოვის მზვერავები შეუმჩნევლად მიეიდნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ მეორე სოფელთან. აქ სიწყნარე იყო. მხოლოდ ხანდახან გაისმოდა გერმანელთა ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერები. სროლის გამოსაცალკევებლად ბანდიტებმა ააფეთქეს 2 ორთქლმავალი. ერთ-ერთ ბანაკში ბანდიტებმა ცეცხლი გაუხსნეს. ბანაკი ალეწეს. ბანაკიდან ცოცხალი ერთი ჯარისკაცი ამოიყვანეს. ტყვე ამბობს, ბანაკში ოცი ადამიანი ვიყავითო

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მივიღოთ საუკეთესონი

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). სამამულო ომის პერიოდში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის რიგებში მიიღეს 351 კაცი, აქედან წევრად—214 კაცი, ხოლო კანდიდატად—137. პარტიაში მიღებულთაგან 164 ქალია.

პარტიის რიგებში ახალ წევრთა მიღება კარგად არის დაყენებული ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ ცხაკაიას პარტორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი შ. ალანია). აქ სამამულო ომის პერიოდში პარტიაში მიიღეს 35 კაცი, აქედან 18— კანდიდატად. ახალმიღებულთაგან 11 ქალია. პარტიის წევრად მიღებული არიან ლუნინელები: სადგურის მორიგე დ. კაკაბაძე და უფროსი მეისრე შ. მიქავა. მიქავა გულმოდგინედ დაეუფლა თავის საქმეს, ამჟამად ორის ნაცვლად სამ ისარს უვლის და საისრო მეურნეობა კარგად აქვს მოგვარებული. პარტიის რიგებში მიიღეს ორასოვნები: ა. ქარანაია და ა. ჯოჯუა. პარტიაში მიღების შემდეგ მათ კიდევ უფრო გაძლიერეს მუშაობა და ამჟამად დღიურ დავალებებს 250_300 პროცენტით ასრულებენ. ცხაკაის რაიონის პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო მორწმუნავე ადამიანები: გაიანე კიბწურეიშვილი, მანია ჯაიანი, ნუცა ალექსანდრია და სხვ.

პარტიული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ახალმიღებულ ამხანაგებთან. თითოეულ მათგანს მიცემული აქვს შესაფერისი დავალება, მათ ეხმარებიან დავალებათა შესრულებაში, აჩვენენ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას. პარტწევრობის კანდიდატი ვ. ხურცია ორგანიზაციამ აგიტატორად გამოჰყო. პირველ ხანებში იგი სათანადოდ ვერ მუშაობდა. ორგანიზაციამ პარტიულ კრებაზე მოისმინა მისი ინფორმაცია, დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი, მუშაობის გამოსასწორებლად და დაიხმარა მათს განხორციელებაში. ამჟამად ამ. ხურცია კარგად მუშაობს. პარტიული ორგანიზაცია ასევე ყოველდღიურ დახმარებას უწევს მიცემულ დავალებათა შესრულებაში პარტწევრობის კანდიდატებს მ. ჯაიანს, რომელიც კომკავშირის ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად მუშაობს, აგიტატორებს ლ. სანაიას, ვ. ჭითანავას და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: რაიონში საგაზაფხულო მუშაობის მდგომარეობის შესახებ, 1942 წლის 22 დეკემბრიდან 1943 წლის 21 მარტამდე საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის ორგანიზაციებში მიღების შედეგების შესახებ და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ს. ბედბენოვი.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ა. მანველიანმა.

პარტბიუროს მდივანი და მისი მოადგილეები სისტემატურად ატარებენ პარტწევრობის კანდიდატთა თათბირებს, ასწავლიან მათ პარტიის წესდებასა და პროგრამას, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. პარტორგანიზაციაში არც ერი რიგ სტაჟგადაცილებული კანდიდატი არ ირიცხება.

პარტიაში ახალ წევრთა მიღება კარგად არის დაყენებული სოფელ ბეთლემის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციაში (მდივანი ი. კორშია). ამ ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად 4 სტახანოველი კოლმეურნე მიიღო. პარტიის რიგებში მიღებული არიან სტახანოველი ქალები ივლიტე და მარო ხურციები, რომლებიც მამაკაცის პროფესიებს დაეუფლნენ და დღიურ დავალებებს 250_300 პროცენტით ასრულებენ.

ასევე კარგად მუშაობენ სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის (მდივანი ხ. ბესელია), სოფელ ეკის სტალინის სახელობის (მდივანი ლ. აბურჯანია), სოფელ ზანის ბერიას სახელობის (მდივანი ნ. კვირაია) კოლმეურნეობების და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. მაგალითად, სოფელ ზემო ჭალადიდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციას სამამულო ომის პერიოდში პარტიაში არც ერთი კაცი არ მიუღია, მაშინ როდესაც კოლმეურნეობაში არიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის წევრობის ღირსი არიან. ამ ორგანიზაციაში 3 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ირიცხება. არც ერთ მათგანს არა აქვს პარტიული დავალება. არ ტარდება პარტკანდიდატთა თათბირები. ორგანიზაცია პარტკანდიდატებთან მუშაობას მხოლოდ იმით განსაზღვრავს, რომ ისინი პარტიულ კრებებს ესწრებიან. პარტიაში ახალ წევრთა მიღება სუსტად არის დაყენებული სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის (მდივანი ყ. გოგინავა) და სოფ. ოქტომბრის ლენინის სახელობის (მდივანი აკ. ხაფავა) კოლმეურნეობათა პირველადს პარტორგანიზაციებში.

ს. კუჭავა

საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმი

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მდივანი ი. კობერიძე.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო შესაფერი დადგენილებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმმა ამხ. მახმუდ კული ოღლი კულიევი გათავისუფლა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მეორე მდივნად მოვალეობის აღმასრულებლად პლენუმმა აირჩია ი. კავილაძე.

დ. სტეფანია

მებრძოლურად ჩავაჯაროთ საგაზაფხულო თესვა

თესვის ჯემპები გაძლიერდა

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ სსრ კავშირის საკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. სოფ. ნახშირღელის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. დ. ლანჩავა) თესვა სამხედრო ტემპებით სწარმოებს. აქ ყოველდღიურად ხვნა-თესვაზე 35-40 უღელი ხარი მუშაობს. მოწინავეთა რიგებში არიან მ. კუტივაძის, გ. ნიკოლაძის, კ. ლაჩრავას ბრიგადები. ვენახის მოვლა-დამუშავებაში დაწინაურდა მეათე ბრიგადა, რომელსაც მოხუცი კოლმეურნე ალ. კუტივაძე ხელმძღვანელობს. თესვა დამკვრელური ტემპებით მიმდინარეობს კოლმეურნეობა „გლეხის ნაბიჯში“. ბრიგადირები ხუჯაძე და ბრეგაძე ენერგიულად მუშაობენ.

სოფ. ოფურჩხეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ფართოდ გააჩაღა საგაზაფხულო კულტურების თესვა. თესვაში დაწინაურდნენ მეორე და მესამე ბრიგადები (ბრიგადირები გრ. ავალიანი და კ. ჯიშკარიანი). კოლმეურნეები მარიამ და შუშანა ახალაძეები დაეუფლნენ მამაკაცის სპეციალობას და დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ზ. სამხარაძე

ჩაქველები პირობას ასრულებენ

ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ენერგიულად ემზადება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის. ქობულეთელთა მიმართვის საფუძველზე იკისრეს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 4.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ანუ 600 კილოგრამით მეტი წარმნდილთან შედარებით, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 100 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ვალდებულებათა შესასრულებლად აქ სერიოზული მუშაობა გაჩაღდა. დამოავრებულია 551 ჰექტარზე ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა-გაფორმება, სასუქის შეტანა. დიდი ყურადღება ექცევა სამუშაოთა ხარისხს. მეურნეობამ მოიმარაგა საჭირო რაოდენობის ჩაის საკრეფი ინვენტარი, შეიძინა სასწორები, ააგო 34 ფარდული, წესრიგში მოიყვანა სპლანტაციო გზები.

კარგად ემზადება ჩაის კრეფისათვის მეურნეობის პირველი უბნის აგრორაიონი (უფროსი ამხ. ა. პავლიდი). ამხ. პავლიდი ამრძვის იმისათვის, რომ ჰექტარზე წელს საშუალოდ მიიღოს 6.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეხუთე უბნის აგრორაიონმა (უფროსი ამხ. ვ. კოვზრიძე) ვადაზე ადრე დამთავრა პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა-გაფორმება და სასუქის შეტანა. მან აიღო ვალდებულება ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და გეგმის გადამეტებით მოჰკრიფოს 12 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

მეურნეობის წარჩინებული ადამიანები ტატიანა ცინცაძე და ფაცია დოლიძე ომიანობის დროის ტემპებით მუშაობენ. სტახანოველები ნ. განეკი, პ. ვიშნიაკოვა, მ. გარბუზა, ა. პორიაზოვა სამუშაო ნორმებს სამმაგად და ოთხმაგად ასრულებენ.

ალ. ახალაძე

ღოლი ნარმაგებით მიმდინარეობს

გურჯაანის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ღოლი წარმატებით მიმდინარეობს. სოფ. შაშიანის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში დადოლებულია 120 სული დედა-ცხვარი. აქედან მიღებულია 125 ბატკანი. ნამატი ჯანსაღად არის. მწყემსები დათა ბიწკინაშვილი, გიორგი მწყარაშვილი საუკეთესოდ უვლიან ნამატს. ამავე სოფლის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში (მეცხვარეობის ფერმის გამგე ვანო ბიწკინაშვილი) დადოლებულია 150 სული დედა-ცხვარი.

კარგად მიმდინარეობს ღოლი სოფელ ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავსა“, და „სოციალიზმის გზაში“, სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში“. ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, არაშენდის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“.

სიკო შაქარაშვილი

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

სახელოვანი მაღაროელის ნ. ხუნგუას ახალი რეკორდი

აჯარმარა, 7 აპრილი (საქდესი). სტალინის სახელობის შახტში მომუშავე სახელოვანმა მნგრეველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნიკოლოზ ხუნტუამ ნგრევის ახალი შესანიშნავი რეკორდი დაამყარა. იქვს სანგრევში ერთსა და იმავე დროს მუშაობით მან თავის სმუშაო ცვლაში 13 ნახევარი მეტრი მოინგრია და დღიური ნორმა 3.090 პროცენტით შეასრულა. სახელოვანმა მნგრეველმა ამ დღეს 513 მანეთი გამოიმუშავა.

იბრძვიან მეჯი ნავთისათვის

წითელი წყაროს („კომუნისტის“ საკ. კორ.). წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებული მუშაობის შედეგად ტრესტ „სიფნავთის“ კოლექტივმა ნავთის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა 105,6 პროცენტით შეასრულა, მირზაანის სარეწს (უფროსი ამხ. სილაგაძე) კვარტალური გეგმა შესრულებული აქვს 106,6 პროცენტით.

ნავთის ამოღების მარტის გეგმა ტრესტის ხაზით შესრულებულია 108,4 პროცენტით, აქედან მირზაანის სარეწმა თვიური დავალება 108,8 პროცენტით გააჯადა, ხოლო პატარა შირაქის სარეწებმა—104,8 პროცენტით.

ინანგარეთებერვალში ნავთის ამოღების თვითღირებულება ერთ ტონაზე 6 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნავთის მოპოვება 1942 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით 14,8 პროცენტით გადიდდა.

ნავთის მოპოვების საქმეში წარმატებით იმუშავეს ალი აბას ხალიკოვისა და ეგეგენი ფირანიშვილის ბრიგადებმა, რომლებმაც მარტის გეგმა 106-107 პროცენტით შეასრულეს.

ნავთის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლა დღითიდღე ძლიერდება.

ირ. მოლოდინი

კომკავშირული კვირეული ამიერკავკასიის რკინიგზაზე

4 აპრილს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოწინავე კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ჩატარდა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონებიდ დამზმარე კომკავშირულ-ახალგაზრდული კვირეული. ამ დღეს ახალგაზრდა პატრიოტები განთავისუფლებული გზებისათვის ამზადებდნენ იარაღს, მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებს, არემონტებდნენ ორთქმლმავლებს, ვაგონებს, ცისტერნებს. სამუშაოზე ათასობით კომკავშირელი გამოვიდა.

* * *

უდიდესი აღმავლობით ჩატარდა კვირეული თბილისის რკინიგზის კვანძზე. სოორთქლმავლო დეპოში ორდეროსან ხიზნანაშვილისა და ბახტაძის კომპლექსურმა ბრიგადებმა გარეცხვიდან გამოუშვეს 2 ორთქლმავალი ვადაზე 3 საათით ადრე; დეპოს მეიარაღეებმა ორჯონიკიძის სახელობის რკინიგზისათვის დაამზადეს 120 თენგო, ჩაქუჩი და სხვა იარაღი. სამექანიკო საამქროში თავი ისახელეს კომკავშირელებმა ბერნაკმა, მიხეევმა, რომლებმაც დღიური დავალებანი 350 პროცენტით შეასრულეს. ზეინკლებმა კოვალსკიმ და ელბაქიძემ, რომელნიც რვილების შეკეთებაზე მუშაობდნენ, 400 პროცენტით გაანაღდეს დავალება.

ერთსულოვნად მუშაობდა ამ დღეს ელექტრომომარაგების მეორე უბნის კოლექტივი, რომელმაც ორჯონიკიძის რკინიგზისათვის მრავალი ახალი ელექტრომოწყობილობა დაამზადა.

* * *

ამ ქარხანაში, სადაც დირექტორად ამხ. ჭიჭინაძეა, კვირეულმა ახალგაზრდა რკინიგზელთა პატრიოტული დემონსტრაციის მკაფიო სახე მიიღო. კვირეულის წინ ქარხანაში შესდგა კომორგების, პარტორგებისა და საამქროთა უფროსების თათბირი, რომელზეც დამუშავდა კვირეულის ჩატარების გეგმები.

კვირეულში თავი ისახელა ამხ. ბერუაშვილის სამონტაჟო ბრიგადამ, რომელიც სპეციალურ დავალებაზე მუშაობდა. ამწყობი საამქროს შემმკერთა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ცხვედაძე ხელმძღვანელობს, 3 ნორმა გამოიმუშავა. მეიარაღე ხარატმა ამხ. ზარდიაშვილმა სამ ნორმაზე მეტი გამოიმუშავა.

* * *

კომკავშირული კვირეული ჩატარდა აგრეთვე მე-4 და 5 სავაგონო უბნებში, ლიანდაგის დისტანციებში და თბილისის კვანძის სადგურებში. (საქდესი).

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბერლის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 5 აპრილი (საკდესი). რიდინგში (პენსილვანიის შტატი) სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბერლიმ. მან რწმენა გამოსთქვა, რომ საბჭოთა კავშირი ვამარჯვებას მოიპოვებს ომში და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს უფლება აქვს იქონიოს იმედი ამერიკის მხრივ უაღრესად სრული თანამშრომლობისა ომისშემდგომი რეკონსტრუქციის საქმეში, ისევე როგორც იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ამჟამად ეწევა.

შეეხო რა მომავალი მშვიდობიანობის საფუძვლებს, ბერლიმ განაცხადა: „არსებობს მსოფლიოს ოთხი დიდი თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფო,—ესენი არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, რუსეთი და ჩინეთი. ამ ოთხ დიდ სახელმწიფოზე იქნება, საბოლოო ანგარიშით, დამყარებული რეორგანიზებული საყოველთაო მშვიდობიანობა“. ბერლიმ აღნიშნა, რომ ინგლის-ამერიკის მეგობრობა განუწყვეტლივ ვითარდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში საერთო ენისა და ტრადიციების შედეგად, აგრეთვე იმის შედეგად, რომ ორივე ქვეყანას, კომერციული კონკურენციის მიუხედავად, საერთო მისწრაფებები აქვთ.

„ძლიერი ძლევამოსილი რუსეთი,—განაგრძო შემდეგ ბერლიმ,—აუცილებელია შეერთებული შტატებისათვის. ძლიერი რუსეთის არსებობა უკანასკნელი სუკუნე-ნახევრის განმავლობაში აღმოჩნდა დიდი ფაქტორი, რომელიც უზრუნველჰყოფდა ამერიკის უშიშროებას. როცა ნაპოლეონი ცდილობდა მთელი მსოფლიო დაეპყრო, მისი გეგმები დასავლეთ ნახევარსფეროს მნიშვნელოვან ნაწილს შეიცავდნენ. ნაპოლეონმა ვერა და ვერ შესძლო ამ გეგმის განხორციელება, უმთავრესად ძლიერი რუსეთის გამო, რომელიც არ იწონებდა მის გეგმებს და რომელმაც საშუალება არ მისცა მას გამოეყო ძალების საკმაო რაოდენობა ამ დაპყრობათა უზრუნველსაყოფად. ნაპოლეონის დამარცხება დაიწყო მოსკოვიდან უკანდახევით, იმის მსგავსად, როგორც ჰიტლერის დამარცხება დაიწყო სტალინგრადიდან უკანდახევით“.

ბერლიმ მთელი რიგი მაგალითებით ცხადჰყო, თუ რა არსებითად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუსეთი ამერიკის ისტორიის განვითარებაში.

„დასასრულ, რუსების მიერ უკანასკნელი 20 თვის მანძილზე წინააღმდეგობის გაწევა,—განაგრძობდა ბერლი,—უეჭველია მობრუნების პუნქტი გახდა ახლანდელ მსოფლიო ომში. ისევე როგორც ინგლისი, შეერთებული შტატებიც მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რუსეთს რომ 1941-1942 წლებში წინააღმდეგობის გაწევა შეეწყვიტა. ამრიგად, მგონია აშკარაა, თუ რა არსებითად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუსეთი ამერიკის ისტორიის განვითარებაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის გვსურდა გადმოგვეღო სახელმწიფოებრივი წყობილების რუსული ფორმა. ჩვენ დაინტერესებული არ ვიყავით ცარიზმით არც ნაპოლეონის ომების პერიოდში, არც სამოქალაქო ომის პერიოდში. ჩვენ მოხარული ვიყავით, როცა რუსებმა თავი გაითავისუფლეს მეფეების ბატონობისაგან. ამერიკელები კომუნისტები არ არიან და საეჭვოა, რომ როდისმე გახდნენ ასეთნი. მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა ისეთი საკითხია, რომელსაც რუსეთი თვითონ უნდა სწყვეტდეს. გარდა პროფანისა, არავის არ შეუძლია არ აღიაროს ბევრი წარმატება, რომლებსაც კომუნისტურმა მთავრობამ მიაღწია რუსი ხალხისათვის“.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას ჩინეთთან, ბერლიმ განაცხადა, რომ ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობა იმ პოლიტიკის საფუძველად უნდა დარჩეს, რომელსაც ამერიკა წყნარ ოკეანეში ატარებს. „გონიერება, სამართლიანობა, საღი მოსაზრება მოითხოვენ, რათა ჩინეთი აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფო იყოს მშვიდობიანობის სისტემაში“.

შეეხო რა გაერთიანებულ მცირე ერებს, ბერლიმ განაცხადა: „ბევრი გაერთიანებული ერი წარმოადგენს პატარა ქვეყნებს, რომლებიც სუსტნი არიან სამხედრო მხრივ, მაგრამ ურყევი სულის მქონენი არიან. საერთოდ აღებული მათი წინააღმდეგობა, რაც უსაზღვრო გმირობით ხასიათდება, შესაძლებელს ხდის იმ გამარჯვებას, რომლის მოპოვების იმედი ჩვენ გვაქვს. კავშირში მყოფი გაერთიანებული ერები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, რუსეთისა და ჩინეთის გარშემო არიან დაჯგუფებულნი, გვიჩვენებენ, რომ ისინი უძლეველნი არიან ომში. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ იგივე კავშირი, თუ იგი მშვიდობიანი პერიოდისათვის იქნება გადატანილი, საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საყოველთაო მშვიდობიანობის რეორგანიზაცია“.

„ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა,—სთქვა შემდეგ ბერლიმ, — ყოველნაირი პროპაგანდისტული ხრიკები გამოიყენეს, ცდილობენ რა განხეთქილება გამოიწვიონ გაერთიანებულ ერებს შორის. იმ ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, ვიცით, ნაცისტებმა და იაპონიის სამხედრო ხრეშამ უკვე დაჰკარგეს რწმენა თავიანთი უნარისა, რომ სამხედრო გამარჯვებას მოიპოვებენ. მაგრამ მათ იმედი აქვთ თავიდან აიცილონ მკაცრი სასჯელი, რომელიც მათ მოელით,—თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების განხეთქილებისა და ამბაიარად კომპრომისული ზავის მიღწევის გზით. ამას ისინი ვერ შესძლებენ. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენებასაც ისინი ვარაუდობენ ამისათვის. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია ცდა—გამოიწვიონ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შინა საბჭოთა რუსეთისადმი. ამასთან ისინი იმ ფაქტებად გამოდიან, რომ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები არაკომუნისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ და რომ მათი ცივილიზაციები მტკიცედ არის აგებული ინდივიდუალისტური, და არა კოლექტიური ნიმუშის მიხედვით. ამის შესაბამისად ისინი ავრცელებენ ბუნდოვან ხმებს ფართო იმპერიალისტური გეგმების შესახებ, რომლებიც ვითომ განზრახული აქვს საბჭოთა რუსეთს. ისინი იმედოვნებენ, რომ ბრიყვები მათს ანკესზე წამოეგებიან და შეასუსტებენ დახმარებას რუსეთის შეიარაღებული ძალებისადმი.

ნაცისტური პროპაგანდის ამ ცდებს ზნირად უწყობენ ხელს შფოთის სხვადასხვა მთესველნი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში — თავგზააბნეულები, აღვირახსნილი ელემენტები, ან წმინდა წყლის ცრუები, რომლებსაც უყვართ გავრცელება უხეში, მუდამ საბუთებს მოკლებული ზღაპრებისა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მოღვაწენი არასაკმაოდ მეგობრულად ეპყრობიან რუსეთს, ანდა, პირიქით, რომ ისინი მეტისმეტად მეგობრულად ეპყრობიან მას. ვაშინგტონი კარგად იცნობს ორივე ხასიათის ხმებს. მე ყოველ დილას ვთვლიდ ორ-ორ დასტა კორესპონდენციებს ჩემს მაგიდაზე. ერთ დასტაში არის წერილები, რომლებიც გვეუბნებიან: „ერადეთ რუსეთს“, ეს წერილები ჩვეულებრივ გამომდინარეობენ ისეთი ადამიანებისაგან, ვინც შეცდომაში შეჰყავს რაიმე პროპაგანდისტული ზღაპარს, რომლის დანიშნულებაა ადამიანთა დაშინება. მეორე დასტაში არის წერილები ანდა ცნობები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ადგილი აქვს შეთქმულებას რუსეთის მოქანცვის მიზნით, ამასთან ეს ხმებიც ჩვეულებრივ გამომდინარეობენ კეთილგანმზრახველი ადამიანებისაგან, რომლებიც შეცდომაში შეუყვანია პროპაგანდას, რასაც ავრცელებენ ადამიანები, რომლებსაც, თავიანთ საკუთარ მოსაზრებათა გამო, სურთ უთანხმოება ჩამოაგდონ რუსეთსა და ამერიკელებს შორის. ამ უკანასკნელი ხასიათის წერილებს, ბოლო დროს ზნირად საფუძველად უდევს ზღაპრები იმის შესახებ, რომ ინგლისი ან ამერიკის შეერთებული შტატები, ანდა ინგლისსა და ამერიკის სხვადასხვა ოფიციალური წარმომადგენლები მუშაობენ რუსეთის წინააღმდეგ ბუფერულ სახელმწიფოთა შესაქმნელად ანდა ჰქმნიან რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა წყებას,—ეგრეთწოდებულ „სანიტარულ კორდონს“. რა თქმა უნდა, ფაქტების სულ ნაჩქარევად გაცნობაც კი აბათილებს ორივე სახის პროპაგანდას.

საბჭოთა რუსეთი, როცა იგი ძლევამოსილი აღმოჩნდება,—იგი კი ასეთი აღმოჩნდება,—და როცა იგი თავის მიწა-წყალს გასწმენდს ნაცისტთა ჯარებისაგან,—იგი კი ამას იზამს,—თავისი საკუთარი ქვეყნის რეკონსტრუქციის ტიტანური ამოცანის წინაშე აღმოჩნდება. ჩვენის აზრით, იგი არ გახდება მსხვერპლი რაიმე მისწრაფებისა ხელთ იგდოს დიდი დამატებითი ტერიტორიები და მიუმატოს თავის უკვე ვეებერთელა სახელმწიფოს. ის, რისი მისწრაფებაც ეჭნება საბჭოთა რუსეთს და რისკენ მისწრაფების სურვილიც უნდა ჰქონდეს,—ეს არის მთლიანობა და უშიშროება თავისი საკუთარი ქვეყნისა, რომელმაც 25 წლის მანძილზე ორჯერ განიცადა ბარბაროსთა შესევა, რაც განსაკუთრებით სისხლისმღვრელ შედეგებს იწვევდა. რეკონსტრუქციისათვის წარმოებულ თავის მუშაობაში რუსეთს უფლება ეძლევა იმედი იქონიოს სრული თანამშრომლობისა, როგორიც კი შეგვეძლება შევთავაზოთ მას, ხოლო სანამ იგი ბრძოლას ეწევა ჩვენი დახმარების საზღვარი ჩვენ შესაძლებლათა საზღვარია. იმ თვალსაზრისით ოპერაციებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ აფრიკაში, არსებითი დახმარება გაუწიეს, და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ოპერაციები სულ უფრო და უფრო სასარგებლო გახდება.

ამჟამად ბუფერულ სახელმწიფოთა იდეა ისევე მკვდარია, როგორც ფრანველი დოდო (ამომწყდარი ფრინველი). ყოველ ბუფერულ სახელმწიფოზე, ანდა ბუფერულ სახელმწიფოთა წყებაზე, რომლებიც შეიქმნებოდა რუსეთის გარშემო, შესაძლებელი იქნებოდა გადაფრენა თანამედროვე ავიაციის საშუალებით რამდენიმე წუთში და ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა მათი მოსპობა რამდენიმე საათში“.

დასასრულ ბერლიმ განაცხადა, რომ საჭიროა მოვაწეროთ შფოთის მთესველნი, აღმოვფხვრათ სიცრუე, რომელსაც პროპაგანდისტები ავრცელებენ, მთელი ლონისძიებები მიემართოთ საერთო მშვიდობიანობის შესაქმნელად და უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭო“

ნიუ-იორკი, 5 აპრილი (საკდესი). ამერიკელმა მწერალმა კორლის ლამონტმა გამოაცხადა, რომ შეიქმნა „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭო“, რომლის მთავარი ცენტრი ნიუ-იორკშია. ახალი ორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირთან უკეთეს ურთიერთგაგებას და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას. მას განზრახული აქვს ბრძოლა აწარმოოს ანტისაბჭოთა პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ გათიშვა გამოიწვიოს გაერთიანებულ ერთა შორის.

„ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭო“ გამოიმუშავებს მთელს ამერიკაში ფართო საქმიანობის პროგრამას იმ მიზნით, რომ მართალი ინფორმაცია გავრცელდეს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა მხარის შესახებ. ამ პროგრამაში შედის კინოფილმთა ჩვენება, ბროშურებისა და წიგნების გავრცელება, გამოფენებისა და ლექციების მოწყობა. ამ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ „ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის“, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მთელს ამერიკაში შეიქმნება.

„ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს“ თავმჯდომარეა კორლის ლამონტი, თავმჯდომარის მოადგილე — ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი პერი.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ მრავალი გამორჩენილი ამერიკელი მოღვაწე მხარს უჭერს „საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს“ შექმნას. მათ რიცხვში არიან შინაგან საქმეთა მინისტრი იკესი, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ჩაპმენი, ამერიკის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში დევისი, სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ბატი, საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე (ეს პროფკავშირი შედის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში) ტომასი, ცნობილი მეცნიერები კენონი, აინშტაინი, ზვორიკინი, სტეფანსონი, მწერალი ფეიხტვანგერი, მსახიობი ჩარლი ჩაპლინი და სხვ.

ჩერჩილის განცხადება მე-8 არმიის შეჯვების შესახებ

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში გამოაცხადა მე-8 არმიის ახალი გამარჯვების შესახებ.

„მე,—სთქვა მან,—მივიღე ტუნისის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის მოხსენება იმის შესახებ, რომ უდაბნოს არმიამ ახალი გამარჯვება მოიპოვა დილის 04 საათსა და 30 წუთზე. 6 აპრილს სრული წყვდიადის საფარქვეშ გენერალმა მონტგომერიმ ბრძანება მისცა თავის ძირითად ძალებს იერიში მიეტანათ აკარიტის პოზიციებზე ჰაბესის ჩრდილოეთით. ინგლისისა და ინდოეთის ქვეითი ჯარის დივიზიების შეტევას წინ უსწრებდა საარტილერიო მომზადება, რაშიც მონაწილეობას იღებდა 500 ქვეთეფი, რომლებმაც ისეთივე ცეცხლითი ფარდა შეჰქმნეს, როგორც ელ-ალამეინთან. მოწინააღმდეგეს, როგორც ეტყობა, მოუმზადებელს მიეცა სრეს ამ თავდასხმით სრულ სიბნელეში. მისი გამგრეხილი პოზიციები განადგურებულ იქნა და შუადღისათვის ყველა მბრძანებელი მთავარი პუნქტი ჩვენს ხელში იყო. მოწინააღმდეგის თავდაცვის 12-მილიანი ხაზის ცენტრში მოხდა გარღვევა და ჩვენს ჯავშანსატანკო და მობილურ ძალებს დაუყოვნებლივ ებრძანა შესულიყვნენ ამ გარღვეულ ადგილში. დაღამებისას ინგლისის ჯარებმა გაშლილ ადგილს მიაღწიეს. ჯერჯერობით წამოყვანილია 6 ათასზე მეტი ტყვე. რომელის არმია ახლა უკან იხევს ჩრდილოეთისაკ